06.03.26 № 465

სს „ვითიბი ბანკ ჯორჯიას“ (ს/ნ 202906427) აქციონერთა
საყურადღებოდ
რიგგარეშე საერთო კრების მოწვევის შესახებ

სს „ვითიბი ბანკ ჯორჯიას“ სამეთვალყურეო საბჭოს 2026 წლის 4 მარტის გადაწყვეტილებით 2026 წლის 27 მარტს, 11:00 საათზე, სს „ვითიბი ბანკ ჯორჯიას“ იურიდიულ მისამართზე: ქ. თბილისი, გ. ჭანტურიას №14, ჩატარდება სს „ვითიბი ბანკ ჯორჯიას“ (ს/ნ 202906427) აქციონერთა რიგგარეშე საერთო კრება.

აქციონერთა რიგგარეშე საერთო კრების მოწვევის თარიღისათვის სს „ვითიბი ბანკ ჯორჯიას“ გამოშვებულ და განთავსებულ აქციათა რაოდენობა არის 209,008,277 ცალი ჩვეულებრივი აქცია. ერთი აქცია მის მფლობელს ანიჭებს ერთი ხმის უფლებას, შესაბამისად, აქციონერთა რიგგარეშე საერთო კრებაზე მოწვეულია 209,008,277 ხმის უფლების მქონე აქცია.

სამეთვალყურეო საბჭოს მიერ რიგგარეშე საერთო კრების სააღრიცხვო დღედ დადგენილ იქნა 2026 წლის 5 მარტი. საერთო კრებაში მონაწილეობისა და ხმის მიცემის უფლება აქვთ მხოლოდ იმ აქციონერებს, რომლებიც კრების სააღრიცხვო თარიღის მდგომარეობით ფლობენ აქციებს საქართველოს ფასიანი ქაღალდების ცენტრალური დეპოზიტარის სისტემაში ანგარიშის მწარმოებლის მეშვეობით.

აქციონერი უფლებამოსილია საერთო კრებას დაესწროს პირადად ან წარმომადგენლის მეშვეობით, სანოტარო წესით დამოწმებული მინდობილობის საფუძველზე.
აქციონერთა რიგგარეშე საერთო კრებაზე ხმის მიცემა მოხდება ღია კენჭისყრის პრინციპით. დღის წესრიგის თითოეულ საკითხს კენჭი ეყრება დამოუკიდებლად.
კრებას დაესწრება ნოტარიუსი, რომელიც შეადგენს აქციონერთა რიგგარეშე საერთო კრების ოქმს.

აქციონერთა რიგგარეშე საერთო კრების დღის წესრიგი:

1. სს ,,ვითიბი ბანკი ჯორჯიას'' სადამფუძნებლო შეთანხმების დამტკიცების შესახებ.

   ბანკის დირექტორატი რეკომენდაციას აძლევს აქციონერთა კრებას, მხარი დაუჭიროს წარმოდგენილ სადამფუძნებლო შეთანხმებას, რომელიც შემუშავებულია „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, რათა შესრულებულ იქნას „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის 254-ე მუხლით გათვალისწინებული ვალდებულება ბანკის სარეგისტრაციო მონაცემების ამავე კანონის მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის შესახებ;

2. სს ,,ვითიბი ბანკ ჯორჯიას'' წესდების ახალი რედაქციის დამტკიცების შესახებ.

   ბანკის დირექტორატი რეკომენდაციას აძლევს აქციონერთა კრებას, მხარი დაუჭიროს წესდების განახლებულ რედაქციას, რომელიც შემუშავებულია „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნათა შესაბამისად, რათა შესრულებულ იქნას „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის 254-ე მუხლით გათვალისწინებული ვალდებულება ბანკის სარეგისტრაციო მონაცემების ამავე კანონის მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის შესახებ.

სს "ვითიბი ბანკი ჯორჯია"
საქართველო; 0108;
ქ. თბილისი;
გ. ჭანტურიას ქ N14;
ტელეფონი:
+(995) 32 2 24-24-24
E-mail: info@vtb.ge
საიდენტიფიკაციო:
№202906427

საერთო კრების მასალების გაცნობა შესაძლებელია აქციონერის წერილობითი მომართვის შემთხვევაში, სს „ვითიბი ბანკ ჯორჯიას“ იურიდიულ მისამართზე: ქ. თბილისი, გ. ჭანტურიას №14,

აქციონერთა რეგისტრაცია დაიწყება 2026 წლის 27 მარტს, 10:30 საათზე და დასრულდება 10:50 საათზე.

პატივისცემით,
რისკების დირექტორი
ნიკო ჩხეტიანი